

FOR THE QUESTION OF THE ORIGIN OF THE TOPONYM “CIHA”

ტოპონიმის „Ciha“ წარმომავლობის საკითხისათვის

Nino Javelidze

Doctor of History, G. Tsereteli Oriental Studies Institute,

Scientist, Tbilisi, Georgia

ORCID:0000-0002-4447-6735

javelidzenino0@gmail.com

**Abstract**

In the Rize region of the Republic of Turkey, in the settlement of Pazar district, where the descendants of the Georgian Laz people live, there is a fortress called “Ciha”. According to medieval Ottoman sources, a fortress of the same name (“Ciqa”) is found on the territory of Eastern Anatolia, named among the fortresses of Nijah, Ahcha Kala, Nikert and Kucuk Kala - near the border of “Gurjistan”. According to Turkish researcher I.M. Mimirolgu, the etymology of “Ciha” is not quite clear and this toponym can be explained on the basis of “Arabic, Lazi or Persian”. The etymology of this toponym, in our opinion, is related to the Georgian language and means “Tsihe” (Castle). Toponyms based on “Ciha” are still found in then-time Georgia (Jikhandjiri, Jikha, Jikhaishi...). Besides, in the Middle Ages along the northeastern coast of the Black Sea there were locations with similar names (Gelendjiki, Alba-Zekha, Maura-Zekha), which were within the historical borders of the Georgian Kingdom. Thus, the names with “Ciha” in their base are confirmed on the territory of the entire eastern Black Sea area, where the autochthonous population was represented by Kartvelian tribes (Kolhis and Lazis, Kolis, Tibareni, Meskhetians, Abasgians, Macron-Makhorons, Korakhs, Mossynoeci, Chanis, Chalybes...).

The Georgian origin of the word “Ciha” is evident from the archaeological specimens found in this fortress, namely, an equal-armed cross and ornamentation in the form of birds (peacocks) engraved on one of the stone slabs. Bas-reliefs with similar ornaments are found in abundance on Anatolian churches and monasteries, which are called Byzantine temples in Turkish scientific literature and dated to the “early Byzantine period”. These reliefs were equally characteristic of both Eastern Christian countries and Western European states. It should be emphasized that images of the equal-armed cross and peacock were widespread in Georgian churches and temples as early as in the V-VI centuries. Taking into account that the toponym “Ciha” is located in the “Lazistan” of Turkey, and the fortress church was decorated with symbols characteristic of Georgian religious art (“Bolnisi Cross”, peacock...), we believe that this fact should testify to the validity of our opinion.

**Keywords:** Ciha, Jika, Jikha, Gelendjiki, “Maltese Cross”, “Bolnisi Cross”.

## ნინო ჯაველიძე

ისტორიის დოქტორი, გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი,  
საქართველო, თბილისი  
ORCID: 0000-0002-4447-6735  
javelidzenino@gmail.com

### აბსტრაქტი

თურქეთის რესპუბლიკის რიხეს მხარეში, დასახლება ფაზარის რაიონში, სადაც ცხოვრობენ ქართველტომელ ლაზთა შთამომავლები, მდებარეობს „Ciha“-ს („ჯიჰა“) დასახელების ციხე-სიმაგრე. შუა საუკუნეების ოსმალური წყაროების მიხედვით, აღმოსავლეთი ანატოლიის ტერიტორიაზე დასტურდება ასეთივე სახელწოდების ციხე-სიმაგრე („ჯიჰა“), რომელიც სახელდება ნიჯახის, ახჩა-ყალას, ნიკერტის და ქუჩუკ-ყალას სიმაგრეთა შორის - „გურჯისტანის“ საზღვართან ახლოს. თურქი მკვლევრის, ი.მ. მიმროღლუს აზრით, „Ciha“-ს ეტიმოლოგია ბოლომდე გაურკვეველია და ეს ტოპონიმი შეიძლება აიხსნას „არაბულის, ლაზურის ან სპარსულის“ საფუძველზე. ამ ტოპონიმის ეტიმოლოგია, ჩვენი აზრით, უკავშირდება ქართულენას დაიგნიშნავს „ციხე“-ს. „ჯიხა“-ს ფუძიანი ტოპონიმები დღესაც აღინუსხება იმიერ საქართველოში (ჯიხანჯირი, ჯიხა, ჯიხაიში...). გარდა ამისა, მსგავსი დასახელების პუნქტები შუა საუკუნეებში არსებობდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოლებაზე (გელენჯიკი, ალბა-ზეხა, მაურა-ზეხა), საქართველოს სამეფოს ისტორიულ საზღვრებში რომ იყო მოქცეული. ამრიგად, „ჯიხა“-ს ფუძიანი დასახელებები დასტურდება შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი აკვატორიის ტერიტორიაზე, სადაც ავტობთონ მოსახლეობას წარმოადგენდნენ ქართველტომელები (კოლხ-ლაზები, კოლები, ტიბარენები, მესხები, აბაზგები, მაკრონ-მახორონები, კორახები, მოსინიკები, ჭანები, ხალდები...).

„Ciha“-ს სიტყვის ქართული წარმომავლობა წარმოჩნდება ამ ციხე-სიმაგრეში ნაპოვნი არქეოლოგიური ნიმუშებითაც, სახელდობრ, ერთ-ერთ ქვის ფილაზე ამოტვიფრული ტოლმკლავა ჯვრისა და ფრინველების (ფარშავანგი) ორნამენტებით. მსგავსი ორნამენტებიანი ბარელიეფები მრავლად მოიპოვება ანატოლიის ეკლესია-მონასტრებზე, რომლებიც თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში სახელდებიან ბიზანტიურ ტაძრებად და თარიღდებიან „ადრე ბიზანტიური ხანით“. ეს რელიეფები ერთნაირად იყო დამახასიათებელი აღმოსავლეთის საქრისტეანო ქვეყნებისა და დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებისთვის. ხაზგასასმელია, რომ ტოლმკლავა ჯვრისა და ფარშავანგის გამოსახულებები ასევე იყო გავრცელებული ქართულ ეკლესია-ტაძრებზე უკვე V-VI სს-დან. იმის გათვალისწინებით, რომ ტოპონიმი „Ciha“ მდებარეობს თურქეთის „ლაზისტანში“, და ციხე-სიმაგრის ეკლესია შემკული იყო ქართული სასულიერო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სიმბოლოებით („ბოლნური ჯვარი“, ფარშავანგი...), ვფიქრობთ, ეს ფაქტი უნდა მეტყველებდეს ჩვენი მოსაზრების მართებულობას.

**საკვანძო სიტყვები:** ჯიჰა, ჯიხა, გელენჯიკი; „მალტური ჯვარი“, „ბოლნური ჯვარი“.

## შესავალი

გეოგრაფიული ნომენკლატურის, საკუთრივ, ტოპონიმის წარმომავლობას არც თუ მცირე მნიშვნელობა ენიჭება ეთნოსების ავტონომიის თუ მიგრირების საკითხის შესწავლისთვის. მეტიც უნდა ითქვას, ერთსა და იმავე ეპოქაში განსხვავებულ გეოგრაფიულ ადგილას საერთოფუძიანი ტოპონიმების არსებობა შესაძლებელს ხდის გავარკვიოთ, წარმოადგენდნენ თუ არა ამ ვრცელ არეალში მკვიდრ მოსახლეობას ის ტომები, რომელთა სამეტყველო ენით აიხსნება ტოპონიმის მნიშვნელობა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ ქართველტომელთა ეთნონიმებისგან წარმოებული ტოპონიმ-ჰიდრონიმ-ორონიმების საკითხი. ანტიკურ წყაროთა თანახმად, ირკვევა, რომ ქართველტომელნი არ გადასახლებულან მცირე აზიიდან კავკასიონისკენ და ისინი ორივე გეოგრაფიული არეალის მკვიდრი, ძირძველი მცხოვრებლები იყვნენ: მცირე აზიასა და კავკასიონის მთისწინეთში თანადროულად აღინუსხება ეთნონიმი კორახისგან წარმომდგარი დასახელებები: კორახების მთები, მდ. კორახი, კორახის დელტა (ჩრდილოდასავლეთ ეგრისში) და შავი ზღვის სამხრეთით - კორახების მთები, ქ. კარახპოლა; ბასიანის (ფასიანის) ტომის სახელწოდება დასტურდება როგორც კავკასიონის კალთებზე („ბასიანის მთა“, „ბასიანის ხეობა“, ბასილების ტომი), ასევე ცენტრალურ ანატოლიაში (ფასიანები, ბასიანის ველი, სადაც მოედინებოდა მდ. არაქსის ზემო ტოტი) და სხვ. ეს ფაქტები უტყუარი დასტურია იმისა, რომ უძველესი დროიდან ქართველტომელთა სამკვიდრო ადგილები განთავსებული იყო კავკასიაშიც და მცირე აზიის მიწა-წყალზეც, სადაც ისინი მკვიდრი მცხოვრებნი იყვნენ.

## მეთოდი

სტატიაში განხილულია ტოპონიმის „Ciha“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა, ისტორიული წყაროების ცნობები, არქეოლოგიური არტეფაქტები და, აგრეთვე, ქრისტიანული სიმბოლოთმეტყველების ნიმუშები.

## შედეგები

მოცემულია მცდელობა ისეთი საკითხების შესწავლისა, როგორებიცაა ტოპონიმის „Ciha“ წარმომავლობა და მისი დამაარსებელი მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილება.

## მსჯელობა და დასკვნა

ტოპონიმი „Ciha“, იგივე „ჯიხა“ გვხვდება ორ თანამედროვე რუკაზე, რომლებიც შედგენილია ადრინდელი ნიმუშების მიხედვით. ერთი გახლავთ საქართველოში გამოცემული სქემატური რუკა - „ძვ. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები“ (2012 წ.), ხოლო მეორე მოძიებულია Google-ით (2024 წ.).


ქართულ რუკაზე ეს ტოპონიმი იკითხება როგორც „ჯიხა“, თურქულად მისი სახელწოდება არის „Ciha kalesi“ – „ჯიჰას ციხე“, რომელიც მდებარეობს შემადლებულ ადგილას - „Ciha kale tepesi“ („ჯიჰას ციხის მადლობი“) რომ ჰქვია.






თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში „Ciha kalesi“-ს შესახებ არსებობს არაერთი გამოკვლევა (ებრუ ფარმას, ილქერ მეთე მიმროლლუს და სხვათა ნაშრომები). მათგან ყურადღებას შევაჩერებთ ილქერ მეთე მიმროლლუს სტატიაზე სათაურით „შავი ზღვის აღმოსავლეთით [მდებარე] ბიზანტიური სამეთვალყურეო ციხე-სიმაგრე ჯიჰა (ჯიჰარ, კისე)“ [Mimiroğlu: 2023; 96-111]. თურქი ავტორი იკვლევს და აანალიზებს ციხე-სიმაგრის შესახებ არსებულ მონაცემებს - მის აგებულებას, არქეოლოგიური გათხრების ნიმუშებს, არტე-ფაქტების დანიშნულებისა და გამოყენების საკითხს და ა.შ.

ჩვენი კვლევის საგანი გახლავთ „Ciha“ - სიმაგრის სახელწოდების ეტიმოლოგიის გარკვევა. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გავაშუქოთ ორი თემა, ესენია - ხსენებული სიტყვის წარმომავლობა - თუ რომელი სამეტყველო ენის საფუძველზე აიხსნება მისი მნიშვნელობა და მოძიება „Ciha“-ს ფუძის მქონე ტოპონიმებისა, კერძოდ, აღინუსხება თუ არა რომელიმე მხარისა თუ ქვეყნის მიწა-წყალზე მსგავსი სახელწოდების დასახლებები ანტიკური და შუა საუკუნეების წყაროთა მონაცემების მიხედვით.

თავდაპირველად გვსურს გაგაცნოთ თავად ი.მ. მიმროლლუს მოსაზრებანი ცნების „Ciha“ შინაარსისა და წარმომავლობის შესახებ. თურქი მკვლევარი გვთავაზობს სამ ვერსიას. პირველის თანახმად, ციხე-სიმაგრის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს არაბულ ენას. ავტორი წერს: „ჩვენს დრომდე შემორჩენილი „ჯიჰას ციხე-სიმაგრედ წოდებული ძველი ძეგლი“ განმარტებულია როგორც ჯიჰარ („Cihar“) დასახელების სიმაგრე და ეს სიტყვა არაბულ ენაზე წარმოითქმის როგორც „Cehr“ .

მეორე თვალსაზრისით, რაც უკავშირდება ამ სიტყვის ფუძისეულ განმარტებას, იგი უნდა აიხსნებოდეს ლაზურად, რაც ამ რეგიონში უპირატესად არის გავრცელებული, და, რომლის თანახმად, „Ciha“-ს ეტიმოლოგია აიხსნება სიტყვით „Cixa“ (ჯიხა). დაბოლოს, მკვლევარ მიმროლლუს თქმით, ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ სახელწოდებად „სხვაგვარად“ დამკვიდრებული ყოფილასიტყვა „კისე“ (Kise), რაც სპარსულად ნიშნავს „ქესე“-ს  თანაც უთითებს, რომ ეს სახელწოდება ხალხში გაჩენილა ციხე-სიმაგრის შიგნით არსებული ეკლესიის გამო [Mimiroğlu: 2023; 97].

ვიდრე „Giha“-ს ეტიმოლოგიის საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის ეთნო-გეოგრაფიის საკითხი.

ანტიკური წყაროების მიხედვით, პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სა-ნაპირო ზოლი და მის გაყოლებაზე უფრო შიგნით განფენილი ადგილები ოდითგანვე წარმოადგენდა ქართველტომელთა სამკვიდრო მიწას. რიხეს მხარე, სადაც ფაზარის რაიონში, შემალლებულ ადგილას მდებარეობს „ჯიჰა“-ს ციხე-სიმაგრე, დასავლეთიდან ესაზღვრება ქ. ტრაპიზონს და შუა საუკუნეებში მთელი ეს ტერიტორია განიხილებოდა როგორც ტრაპიზონის მიწა-წყალი, ქართველტომელნი რომ მკვიდრობდნენ: კოლხ-ლაზები, ტი-ბარუნები, მოსინიკები, შკვითინები, მაკრონ-მახორონები, სასპერები, ხალიბ-ქალდები და სხვ. ანტიკურ წყაროებში თავად ტრაპიზონი სახელდება როგორც ბერძნების მიერ ძვ. წ. აღ-ის 756 წელს დაარსებული ქალაქი. თუმცა,

იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის IX საუკუნიდან ბერძნები პონტოს სამხრეთ სანაპიროზე აარსებენ საკუთარ „ემპორიონებს“, ანუ „სავაჭროთაისა“-ს, ჩვენი აზრით, მათ უნდა დაეარსებინათ არა თავად ქალაქი, არამედ მისი სავაჭრო ფაქტორია. რაც შეეხება ქალაქი ტრაპიზონის სახელწოდებას, მისი წარმომავლობის თაობაზე სხვადასხვაგვარი მოსაზრებები არსებობს, რომელთაგან ყველაზე მართებულად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით იგი უკავშირდება იქ მოსახლე ქართველ-ტომელი ტიბარენების ეთნონიმს (ტრაპიზონი - ტიბარენ-ზანე). ანტიკური ხანის და შუა საუკუნეების წყაროთა (ქართული ბერძნული, ოსმალური) ცნობები ამ მოსაზრებას უჭერს მხარს. ასე მაგალითად, ქსენოფონტი (ძვ. V-IV სს) ტრაპიზონის შესახებ წერს, რომ **„ეს ქალაქი და კერასუნდი მდებარეობენ კოლხიდაში“**. ეპიფანე კვირელით (IV ს.) **„ტრაპიზონი ლაზიკის ქალაქია“**, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ტრაპიზონს უწოდებს **„ხალდიას ქალაქს“**, სუმბატ დავითის ძეც იმეორებს, რომ ტრაპიზონი **„ხალდიას ქალაქია“**, ხოლო ლეონტი მროველით - ტრაპიზონი არის **„სოფელი მეგრელთა“**. აღმოსავლურ წყაროებშიც ვხვდებით ასეთსავე ცნობებს. არაბი ავტორი აბულ-ფიდასთვის (X ს) ტრაპიზონი არის **„ლაზური ნავსადგური“**, ხოლო ოსმალთა მემატთანე ევლია ჩელების (XVII ს) თანახმად, ტრაპიზონის სახელთაგანი ყოფილა, **„ქალაქი ქვემო ბათუმი“ (!)** და აგრეთვე **„ლაზიკის ქალაქი“** [ევლია ჩელები: 1971; 81-82]. აქვე უნდა ითქვას, რომ ევლია ჩელები ასევე ახსენებს ტოპონიმ **„ჯიხა“-ს** („ჯიქა“), როდესაც აღწერს 1640-იანი წლების ოსმალთა დაშქრობას და ჩამოთვლის მათ მიერ დაპყრობილ ციხე-სიმაგრეებს (ნიჯახი, ახჩა-ყალა, **ჯიქა**, ნიკერტი, ქუჩუქ-ყალა), რომელთა შემდგომ ოსმალთა მიერ „გურჯისტანი და სამეგრელო თავიდან ბოლომდე დაპყრობილ-დამორჩილებულ იქნა“ [ევლია ჩელები: 1971; 332].

ერთი სიტყვით, ციხე-სიმაგრე „Ciha“ - („ჯიხა“) მდებარეობს ანატოლიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, რაც უძველესი დროიდან განიხილებოდა როგორც ეთნიკურად ქართული მიწა-წყალი და ტრაპიზონი სახელდება როგორც ამ ეთნო-გეოგრაფიულ სივრცეში მდებარე მსხვილი სანაპირო ქალაქი. თანაც ირკვევა, რომ გარდა „ჯიხას“ ციხე-სიმაგრისა, ოსმალეთში, საქართველოს საზღვართან ახლოს, კიდევ არსებობდა ამ ტოპონიმის ფუძის მქონე, „ჯიქა“ დასახელების სხვა სიმაგრეც. ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ თურქი მკვლევრის, ი.მ. მიმროდლუს მიერ დასახელებული სამი თვალსაზრისიდან ციხე-სიმაგრე „Ciha“-ს სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ უპირატესობა მივანიჭოთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, განსახილველი ტოპონიმის წარმომავლობა უკავშირდება ქართულ სამეტიყველო ენას, საკუთრივ ლაზურ-მეგრულს. თუმცა, ამასთან დაკავშირებით მეტიც შეიძლება ითქვას.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული „ჯიხა“-ს ფუძიანი ტოპონიმები არსებობდა საქართველოში და ეს გეოგრაფიული პუნქტები დღესაც არის შემორჩენილი. უპირველესად უნდა ვახსენოთ სამეგრელოში მდებარე ტოპონიმები:

- ა) წალენჯიხა - (ჭანების ციხე)
- ბ) სოფელი ჯიხა, სენაკის რაიონი, ნოქალაქევთან ახლოს;

გ) ომუნეს (ყენიას) ჯიხა, წალენჯიხის რაიონი, ს. ჯვარიდან სამ კილომეტრში;

დ) ს(ზ)ენის ჯიხა, საჯიხაოს რაიონი, ჩიჩუების საგვარეულოს კუთვნილება;

ე) ხიბულას ჯიხა – სოფელი ძვ. ხიბულა;

ვ) ხეთას ჯიხა, სოფელი ხამისკური, ხობიდან 11 კმ-ზე.

„ჯიხას“ ძირიანი ტოპონიმები გვხვდება გურიასა და იმერეთშიც:

ა) ჯიხანჯირი, ანუ გურიის ციხისძირი, კლდეზე მდგარი ციხის ნანგრევები;

ბ) სოფლები იმერეთში: დიდი ჯიხაიში (სამტრედიის რ-ნი), პატარა ჯიხაიში (ხონის რ-ნი) და გოჩა ჯიხაიში – სამივე სოფელს ძველად ერქვა ჯიხაიში.

გარდა ამისა, უნდა ვახსენოთ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე დადასტურებული მსგავსი ტოპონიმებიც, რომლებიც წარმოჩნდებიან შუა საუკუნეების წერილობითი წყაროებისა და კარტოგრაფიული მასალის მიხედვით. ირკვევა, რომ ეს ტოპონიმები არსებობდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოფებით, რა ტერიტორიაც მოქცეული იყო ერთიანი საქართველოს სამეფოს ფარგლებში, ხოლო გვიანი შუა საუკუნეებიდან იგი განიხილებოდა იმერეთის სამეფოს ისტორიულ საზღვრებში. ცნობილია, რომ ეს საზღვარი მიუყვებოდა კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთი კალთების მიმდებარე მიწებს, სადაც „წარსწუდებოდა“ კავკასიონის წვერი და სადაც შავ ზღვაში ჩაედინებოდა მდ. ყუბანის (მც. ხაზარეთი) მარცხენა ტოტი.

ერთ-ერთი ადრინდელი წერილობითი წყარო გახლავთ იტალიელი ემიდიო დორტელი დ'ასკოლისა, ვინც 1625 წლიდან ყირიმის სათათრეთში ასრულებდა პრეფექტის მოვალეობას. 1634 წელს იგი იმყოფებოდა ჩერქეზეთსა და სამეგრელოში. დ'ასკოლი ნავმისადგომს „კიელენჯიკ“ (გელენჯიკი) ახსენებს შემდეგი თანმიმდევრობით (სამეგრელოდან): „სკავრიიდან სკურტიამდე (ისქურია) – 10 მილია, სკურტიიდან ესქი-სოლუნამდე (ძველი სოხუმი) – 20 მილი, ესქი-სოლუნიდან დერევნამდე (გაგრა) – 40 მილი, დერევნადან აბაზამდე – 50 მილი, აბაზადან მამათალამდე (მამაის ციხე) – 50 მილი, მამათალადან „კიელენჯიკამდე“ – 150 მილი, აქედან 6 მილია ბიუიქ-ლიმანამდე (ნოვოროსიისკი). ბიუიქ-ლიმანიდან ვარდიმდე (ანაპა) – 100 მილი. ვარდიდან ტამანამდე (მადრიგამდე) -100 მილი [Абхазия:1997; 240]. ამონარიდიდან ჩანს, რომ იტალიელი პრეფექტი „ჯიხას“ ფუძიან ტოპონიმ გელენჯიკს, რაც მეგრულად ნიშნავს „გარე ციხე“-ს (ჯიხა-ციხე, გალენ-გარე), ადგილს მიუჩენს დღევანდელ ნოვოროსიისკთან, 6 მილის მოშორებით.

ასევე წარმოშობით იტალიელმა ქსავერიო გლავანიმ, ვინც 1700-იან წლებში ყირიმის ხანის კარზე ასრულებდა საფრანგეთის კონსულის მოვალეობას, ჩერქეზეთში ყოფნის შემდგომ აღწერა ეს მხარე და ისიც ახსენებს ტოპონიმს „გელენჯიკ“. კონსული წერს: „24 აბხაზი ბეგის სამფლობელო ჩერქეზეთის მიწაზე განივრცობა დიდი (შავი) ზღვიდან გელენჯიკ-ლიმანამდე... გელენჯიკ-ლიმანი მდებარეობს აბაზასა და ჩერქეზეთს შორის და კაფას სრუტედან დაშორებულია 50 მილით“ [Абхазия:1997, 271]. როგორც

ვხედავთ, ორივე იტალიელი ავტორი გელენჯიკის ნავმისადგომს ადგილს მიუჩენს ერთსა და იმავე სანაპირო მონაკვეთზე.

XIX საუკუნის I მეოთხედის ამიერკავკასიაში იმყოფებოდა ფრანსუა გამბა, ვინც თბილისში ასრულებდა საფრანგეთის მეფის კონსულის მოვალეობას. მან 1820 წელს მოინახულა და აღწერა აფხაზეთის მიწა-წყალი და სხვადასხვა დასახლებებს შორის ახსენებს გელენჯიკსაც: „აფხაზეთის საზღვართან დაახლოებით 60 კილომეტრში გელენჯიკიდან მდებარეობს ფშადის ყურე... დაახლოებით კილომეტრში ფშადიდან სუბაშის ყურემდე ჩერქეზეთისა და აფხაზეთის საზღვრები მიემართება ზუსტად ისე, როგორც ეს ნაჩვენებია რუკების უმეტესობაზე“ [Абхазия: 1997; 299]. აქაც გელენჯიკი დასახელებულია შავი ზღვის სანაპიროსთან, იქ, სადაც იყო ფშადის ყურე.

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ პეტრუს ვესკონტეს მიერ 1318 წელს შექმნილი „შავი ზღვის რუკა“, სადაც მონიშნულია „გელენჯიკი“. ამ საზღვაო რუკის მიხედვით, „გელენჯიკი“ მდებარეობს ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. გარდა ამისა, მდ. რიონსა და პუნქტ გელენჯიკს შორის განთავსებულ მიწა-წყალზე გვხვდება „Alba Zeqa“ (თეთრი სიმაგრე), იგივე „ალბა-ჯიხა“, და „Maura Zeqa“ (შავი სიმაგრე) ანუ „მაურა ჯიხა“. ის ფაქტი, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს მცირე მონაკვეთზე არსებობდა „ჯიხა“-ს საერთოფუძიანი რამდენიმე ტოპონიმი, უნდა მეტყველებდეს ამ სანაპიროსთან ქართველტომელთა მრავალრიცხოვანობას. ამის სასარგებლოდ მიუთითებს ისიც, რომ ხსენებული სანაპირო ზოლი ოდითგან წარმოადგენდა ქართველთა საცხოვრის ადგილს. I საუკუნის გეოგრაფოსის, მენიპე პერგამონელის თანახმად, იქ, სადაც განთავსებულია დღევანდელი ტუაფსე, მდებარეობდა დასახლება „პალაია ლაზოს“, ანუ „ძველი ლაზიკა“. ტოპონიმი „ძველი ლაზიკა“ მანიშნებელია იმისა, რომ ამ მხარეში ლაზები ყოფილან უძველესი მკვიდრნი, რომლებიც, ჩანს, გამოირჩეოდნენ სიმრავლითა და სიმლიერით – „ქალაქიც“ რომ ჰქონიათ დაფუძნებული და I საუკუნეში მათი ოდინდელი ყოფნის აღსანიშნავად ამ დასახლებისთვის „ძველი ლაზიკა“ უწოდებიათ. ერთი სიტყვით, „ჯიხა“-ს ფუძიანი ქართული ტოპონიმების მიხედვით ჩანს, რომ აქ ქართველტომელნი ძველთაგანვე მკვიდრობდნენ. პეტრუს რესკონტეს რუკა შეიქმნა საქართველოს მეფის, გიორგი V ბრწყინვალის ზეობის ჟამს, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ერთიანი სამეფო. გამომდინარე აქედან, საზღვაო რუკაზე მონიშნული სამივე „ჯიხა“, ანუ ციხე-სიმაგრე მდებარეობს იმ სანაპირო ზოლის გაყოლებით, რაც შუა საუკუნეებში თავსდებოდა საქართველოს სამეფოს ეთნიკური, სარწმუნოებრივი და პოლიტიკური საზღვრების ფარგლებში.

ამრიგად, შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი აუზის ტერიტორიაზე, სანაპირო ზოლის გაყოლებასა და შიდა მიწა-წყალზეც არსებობდა საერთო-ფუძიანი („ჯიჰა-ჯიხა“ – „ჯიქა“) ტოპონიმები, რომელთა მნიშვნელობა აიხსნება ქართული სამეტყველო ენის საფუძველზე და უკავშირდება ქართულ ლექსიკას. „ჯიხა“-ს საერთოფუძიანი დასახელებები შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ აკვატორიაში კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამ სახელწოდებების ძირს მივყავართ ქართველტომელთა უძველეს ენობრივ-ეთნიკურ სამყაროსთან.




ზემოთ ვახსენეთ, რომ თურქი მკვლევარი ი.მ. მიმიროლლუ თავის ნაშრომში, გარდა „Ciha“-ს სიტყვის წარმომავლობისა მიმოიხილავს სხვა საკითხებსაც და საანალიზოდ გვთავაზობს სხვადასხვა მასალისგან შექმნილ არქეოლოგიურ ნიმუშებს.



### „Ciha“-ს ციხე-სიმაგრის არტეფაქტები

ამ არტეფაქტებიდან თურქი ავტორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 50X80 სმ. ზომისა და 20 სმ. სისქის ქვის ფილა.



### „Ciha“-ს ციხე-სიმაგრის ეკლესიის ქვის ფილა

მცირედი შემოკლებით მოგვყავს მკვლევრის მიერ ქვის რელიეფის აღწერა:

„ქ. რიზეს მუზეუმის მეთვალყურეობით განხორციელებული სამუშაოს დროს აღმოჩნდა ქვისგან, ლითონისგან და გამომწვარი ქვიშისგან დამზადებული სხვადასხვაგვარი ნივთები. ამ აღმონაჩენიდან უპირველესი გახლავთ ქვის ფილა. ამ ფილის კიდეები დატეხილია, ხოლო მის ზედაპირზე ამოკაწრვის მეთოდით შესრულებულია ჯვრისა და ფრინველის ფიგურები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან საერთო ქარგით.

ფილის განაპირა ნაწილები დაზიანებულია, წრეწირით მოხაზული მედალიონის შიგნით განთავსებულია მალტური ფორმის ჯვარი. წრის შუაგულში სწორკუთხოვანი ჯვრის ტოტების დაბოლოებები ფართოვდება

და აღწევს წრებაზს. ცენტრალური ჯვრის ორნამენტის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ასიმეტრიულად განთავსებულია ორი მომცრო ზომის, მედალიონში ჩასმული ჯვარი. ქვის ფილაზე მოჩანს სხვა ფიგურები – წრეწირზე გამოსახული ფრინველები. საკმაოდ სტილიზებულად დამუშავებული ფრინველების ფიგურებიდან პირველი განთავსებულია ცენტრალური ჯვრის ზემო მარცხენა კუთხეში. თავს უკან რომ იყურება რომ იყურება, ამ სახით წარმოდგენილი ფიგურის ფეხები დაუმუშავებელია. მეორე ფრინველის ფიგურაც ცენტრალური ჯვრის მარჯვნივ არის. მარჯვენა ნაწილი რომ მოტეხილი აქვს, ჩვენამდე [სრული სახით] მოუღწეველი ფიგურაც ცენტრში ჩასმული ჯვრისკენ ზურგმექცევითაა მოთავსებული. ფრთა-ბუმბულისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი დამუშავებულია... ჩიტის ფიგურებზე ნისკარტი და ბოლო სხვა ნაწილების მსგავსად საკმაოდ გამახვილებული ჩანს. წრიულ მედალიონში მოთავსებული მალტური ჯვარი და ფარშავანგის ფრინველები ადრე ბიზანტიური ხანის ქვის მასალაზე ხშირად განსხვავებული სახით გვხვდება...

...ორივე ნიმუშის ჯვრის მოტივებსა და სტილის თავისებურებას თუ მივაქცევთ ყურადღებას, ისინი თარიღდება ადრე ბიზანტიური ხანით“ [Mimiroglu: 2023, 104].


ქვის ფილის ორნამენტები თურქ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ციხესიმაგრეც და არქეოლოგიური არტეფაქტებიც უნდა განეკუთვნებოდეს ბიზანტიურ ძეგლებს და ყურადღებას ამახვილებს „მალტურ ჯვარსა“ და ფარშავანგის ფიგურაზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ი.მ. მიმროდლუს მიერ ნახსენები „მალტური ჯვრების“ გამო უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, ისინი ფორმის მიხედვით ჰგვანან არა იმდენად მალტურ, ანუ ფრანცისკელთა ჯვარს, რომელთა ორდენი კ. მალტაზე შეიქმნა XII საუკუნეში, არამედ – ვატიკანის მღვდლის სარკოფაგზე გამოსახულ ტოლმკლავა ჯვარს; მეორეც, საჭიროა გავარკვიოთ „ჯიჰას“ ციხის ქვის ფილა და, საერთოდ, სხვა არტეფაქტები მართლაც ბიზანტიური წარმომავლობის ძეგლებია, თუ რელიეფის ორნამენტები იძლევა საშუალებას, ეს ნიმუშები დავეუკავშიროთ სხვა, საკუთრივ, ქართულ სასულიერო ხელოვნებას?!

ცნობილია, რომ ტოლმკლავა ჯვრის გამოსახვა უხსოვარი დროიდან (ძვ. წ. აღ. III-II ათასწლეულები) იყო გავრცელებული ეგეოსის კუნძულებსა თუ მახლობელ აღმოსავლეთში და მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ კერამიკასა და საბექდავებზე გამოსახული ტოლმკლავა ჯვარი. ძვ. აღმოსავლეთის მიბაძვით, ჩანს, ამგვარი ჯვარი ადრე შუა საუკუნეებშივე დამკვიდრდა ქრისტიანულ ქვეყნებში - ამასთან, „მალტური“ და „ბოლნური“ ჯვრები ერთობ ჰგვანან ერთმანეთს. „ბოლნური“ ჯვრები საქართველოში მრავლად გვხვდება ეკლესიების კედლებზე, სვეტებზე, სტელებზე. მათგან უპირველესად უნდა ვახსენოთ თავად ბოლნისის სიონი, წრეში ჩასმული „მნაძს“ ჯვრითა და სხვა მსგავსი რელიეფებით, როგორებიცაა „დავით ბოლნელის ჯვარი“ და სვეტზე ამოკვეთილი „ვარსქენ ნახაპეტის“ ჯვრის რელიეფი.

ამას გარდა, მსგავსი ტოლმკლავა ჯვარი ეკლესიებსა თუ სიმაგრეთა კედლებზე საქართველოს არაერთ მხარეშია დადასტურებული: ბუზვარეთის

ეკლესიის ფასადზე (IV-VI სს), ძვ. გაგრის ეკლესიის ტიმპანზე (VI ს), მრამბის ეკლესიის ანტიფრიქსზე (VI ს), მცხეთის ჯვრის ფასადზე (VI ს), უქიმერიონის ციხის კედელზე (VI ს), ნოქალაქევის (V-VI სს) ტერიტორიაზე, ქვიშის ციხის ეკლესიაზე (VI-VII სს), კიანეთის ეკლესიაზე (VIII-IX სს) მარტვილის ეკლესიაზე (X ს), 1002 წელს დასრულებული ხცისის ეკლესიის ბარელიეფზე, საორბისის წმ. გიორგის ეკლესიის ფრონტონზე (XII ს) და ა.შ. ამასთან დაკავშირებით გვსურს გავამახვილოთ ყურადღება მკვლევარ ლ. მუსხელიშვილის მიერ შესწავლილი ტოლმკლავა ჯვრის რელიეფებზე. მისი თქმით, მადაროს ხევის ერთ-ერთი ნასოფლარის ერთნავიან ეკლესიაში ეგდო „ბოლნური მედალიონიანი” ქვა, ნიშანი ამ ნასახლარის დიდი სიძველისა” [მუსხელიშვილი: 1941; 167]. მკვლევარმა სოფელ უკანგორში იხილა, აგრეთვე, ასეთივე ჯვრიანი სტელები, რაც აღმოჩნდა საფლავის ძეგლები. ბოლნური ჯვრის ბარელიეფი მოთავსებული ყოფილა ბოლნისის წარწერიან ბალავარზეც, რომელიც თარიღდება 502/03 წლით და რომლის ქვემო ნაწილია იყო შემორჩენილი [მუსხელიშვილი: 1941; 169]. ერთი სიტყვით, „ბოლნური ჯვრის” ბარელიეფებით შემკულია იმიერი და ამიერი საქართველოს ეკლესიები თუ ტაძრები და მათგან არაერთი ნიმუში თავმოყრილია ქვემო ქართლის მხარეში.



უკანგორის ეკლესიის რელიეფები ტოლმკლავა ჯვრით

ტოლმკლავა ჯვრიანი არტეფაქტების საფუძველზე მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ: „ბოლნური მედალიონის თარიღად თამამად შეგვიძლია V და VI საუკუნეები დავდოთ” [მუსხელიშვილი: 1941; 171].

ამრიგად, განხილული მასალის შესწავლის თანახმად, ირკვევა, უკვე ადრე შუა საუკუნეებიდან (V-VI სს) მოყოლებული ქართულ ეკლესიათა ფასადებსა თუ სვეტებზე, საფლავის სტელებზე, ქვის ფილებსა თუ ბალავრის კედლებზე გავრცელებული და ჩვეული იყო „ბოლნური ჯვრის” გამოსახვა. გამომდინარე ამ ფაქტიდან და იმის გათვალისწინებით, რომ „Cihā”-ს ციხე-სიმაგრე მდებარეობს თურქეთის „ლაზისტანში”, შეიძლება განვაცხადოთ – ანატოლიურ ქვის ფილაზე გამოხატული მედალიონიანი ტოლმკლავა ჯვარი უნდა წარმოადგენდეს არა „მალტურის” მიზამდით შექმნილს, არამედ „ბოლნური ჯვრის” რელიეფების ერთ-ერთ ნიმუშს.

„Ciha“-ს ციხის ქვის ფილაზე გარდა „ბოლნური ჯვრისა“ არსებობს სხვა გამოსახულებებიც. კერძოდ აქ „ამოკაწრულია“ ორი ფრინველის ფიგურა. პირველი ფრინველი, ცენტრალური მედალიონის წრეხაზზე რომ არის განთავსებული, წარმოდგენილია ნისკარტიანი თავის სახით, ნამგალისებური „ტანიით“ და „კიდურით“. განსხვავებით პირველი ფიგურისა, მეორე მათგანი მოჩანს ნაწილობრივ და, რაც მოჩანს, იმის მიხედვით მკვლევარმა ი.მ. მიმიროდლუმ ივარაუდა, რომ იგი უნდა იყოს ფარშავანგი. ამის თქმის საშუალებას მას აძლევს ფრინველის „ბუმბულ-ფრთები“, რაც ფარშევანგს მოუჩანს ზურგის მხრიდან. თუკი ეს ასეა და გამოსახულება მართლაც ფარშავანგისაა, მაშინ ქვის რელიეფზე წარმოდგენილი უნდა იყოს ქრისტეანულ სიმბოლოთმეტყველებაში ცნობილ ფრინველთაგან ფარშავანგის ფიგურა. უნდა ითქვას, რომ, როგორც ქრისტეანული დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთ საქრისტეანოს ქვეყნების ხელოვნებაში ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებანი თავისი სიმბოლურ-ალეგორიული შინაარსით ფართოდ გამოიყენებოდა. თანაც, ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში ფარშავანგის გამოსახვა და მისი სიმბოლიკა (გადარჩენა, განახლება, უკვდავება) გაჩნდა აღმოსავლეთის - ეგვიპტის, ბიზანტიის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების, ინდოეთის სიმბოლოთმეტყველების გავლენით. გარდა ამისა, პირისპირ მდგომ ფარშავანგთა გამოსახვა, თავის მხრივ, უნდა მომდინარეობდეს სიცოცხლის ხის აქეთ-იქით მდგომი ორი ფრთოსანი არსების სიუჟეტიდან, რასაც არც თუ იშვიათად გამოხატავდნენ უძველეს დროს [Чернишева: 2016, 158]. ანატოლიის ტერიტორიაზე განლაგებულ ქრისტეანულ ტაძრებსა და სხვა სახის შენობებზე არაერთგზის დასტურდება ფარშავანგის ორნამენტის ბარელიეფები. შეგვიძლია დავასახელოთ კოიუნოდლუს მუზეუმში მოთავსებული ბარელიეფი ორი პირისპირ მდგომი ფარშავანგით, ქ. კონიის ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის პორტალის ფარშავანგებიანი ბარელიეფი, წყვილი ფარშავანგია გამოქანდაკებული „ინჯე მინარელი მედრესეს“ (ნატიფი მინარეთიანი სასულიერო სასწავლებელი) კედელზე. ქ. კონიის არქეოლოგიურ მუზეუმში მოთავსებულია ფარშავანგის ქვის ფილა და სხვ. ეს რელიეფები თარიღდება V-VI სს-ით [Temple: 2013; 181-182, 187-188]. ქართული სასულიერო ხელოვნებისთვის ასევე იყო დამახასიათებელი ფარშავანგის სიმბოლოს „ამეტყველება“. სპეციალურ ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ფარშავანგის და მტრედის გამოსახულებებს ხშირად მისდევდნენ ქართულ ქრისტეანულ ხელოვნებაში. ადრექრისტეანული ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე ფარშავანგი გაიაზრებოდა როგორც სამყაროს უსასრულო მრავალფეროვნების, სიამაყის, ბრწყინვალეების, უკვდავებისა და მარადისობის სიმბოლო“. ბოლნისის სიონში ფარშავანგის გამოსახულებები რელიეფურადაა განთავსებული საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთი პილასტრის სვეტისთავის ზედაპირზე. ასევე გამოსახულია ფარშავანგი უკანგორის ეკლესიის (IV-VI სს) ქვის ფილის მარჯვენა პირზე და ეს რელიეფი, ლ. მუსხელიშვილის თქმით, „ძალზე თხელია, ხოლო ფიგურის დამუშავება – მეტად მქისე... ბოლნისის სვეტისთავის რელიეფზე ფარშა-



ვანგის გამოსახულება უკეთაა შესრულებული, რადგანაც დეტალები უფრო სათუთად და ხელოვნურადაა დამუშავებული“ [მუსხელიშვილი: 1941; 173].



**უკანგორი.  
ფარშავანგის რელიეფი**

ფარშავანგის გამოსახულებას ხედავს მკვლევარი ნ. გოდერძიშვილი თიანეთის სიონის (VI ს) რელიეფის სცენაში და წერს: „... ცენტრი უჭირავს ხშირტოტებდამშვებულ ხეს, რომლისკენაც აქეთ-იქით ორი ცხოველია მიმართული. ამათგან მარცხენა ჯიხვს ან არჩვს მოგვაგონებს, მარჯვენა – შველს... სიბრტყის მარცხენა კუთხეში მოზრდილი ფრინველია გამოსახული, შესაძლოა ფარშავანგი, თითქოს ხისკენ მიემართება...“ [გოდერძიშვილი: 2020; 60]. ფარშავანგის ორნამენტი გვხვდება ადრე შუა საუკუნეების არა ერთ ეკლესიაზე, რომელთაგან შეგვიძლია დავასახელოთ მრამბის ეკლესიის (VI ს) რელიეფი, ვაშნარის ეკლესიის კაპიტელი (VI ს), დამალის სტელა (VI ს), კიზილ-ქილისას ბალავარი (V ს), სათხის ეკლესიის (V-VI სს) სარკმლის სტელა, სამთავროს სამაროვნის ქვა (IV-VI სს), დარკვეთის ეკლესია (XI ს), წინარების ეკლესია (XII ს). ხოლო ხცისის ეკლესიის (1002 წ.) ჯვრიანი სფეროს რელიეფზე: „კომპოზიციის სიმბოლიკაში დამატებითი როლი აქვს დიდი გრიფონების თავებზე არსებულ პალმეტისებურ, ფარშავანგისთვის სახასიათო ქოჩორს, რომლებიც გვირგვინებით ადგას... არსებულ ჯვრის გამოსახულებიან სფეროს“ - აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით მკვლევარი ა. მათიაშვილი [მათიაშვილი: 2020; 133]. ასევეა გამოსახული ფარშავანგი ლეჩხუმის მცხეთის წმ. გიორგის ტაძარზე, რაც განეკუთვნება XVIII ს-ის I ნახევრის ნაგებობას [გოდერძიშვილი: 2020; 120] და სხვ.

ერთი სიტყვით, ფარშავანგს, საერთო ქრისტიანული სიმბოლოთმეტყველების ამ ერთ-ერთ ნიმუშს, ადრე შუა საუკუნეებიდან ტრადიციულად გამოსახავდნენ საქართველოს ეკლესია-მონასტრების რელიეფებზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, „Ciha“-ს ციხე-სიმაგრის ქვის ფილაზე ამოტვიფრული ფარშავანგების ფიგურები კვლავაც უნდა მოწმობდეს, რომ ხსენებულ სიმაგრეში ნაპოვნი ქვის რელიეფი შექმნილი უნდა იყოს ქართველ ოსტატთა მიერ და ეს გამოსახულებაც ქართული ქრისტიანული ხელოვნების ნიმუშად უნდა აღიქმებოდეს.

ამრიგად, ანატოლიაში მდებარე „Ciha“-ს ციხე-სიმაგრის შესახებ არსებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე და მის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია არ უნდა წარმოადგენდნენ ბიზანტიურ ძეგლებს. „Ciha“-ს ეტიმოლოგია გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ ციხე-სიმაგრის სახელწოდება არის ქართული წარმომავლობის და იგი მომდინარეობს დასავლეთქართველ ტომთა სამეტყველო ლექსიკიდან. რაც შეეხება ამ სიმაგრის ეკლესიას, იგი თავისი ბარელიეფის გამოსახულებათა სიმბოლოთმეტყველების მიხედვით, უნდა განიხილებოდეს როგორც ქართული სასულიერო ხელოვნების ერთი ძეგლთაგანი.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

goderdzishvili, n. (2020). *relepuri stsenebi monadire mkhedrebita da zoomorpuli gamosakhulebebit shua saukuneebis kartul khelovnebashii*. tbilisi (გოდერძიშვილი, ნ. (2020). *რელიეფური სცენები მონადირე მხედრებითა და ზომორფული გამოსახულებებით შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში*. თბილისი.)

*evlia chelebis mogzaurobis tsigni*. (1971). *turqulidan targmna, komentarebi da gamokvleva daurto g. puturidzem. nakv. I*, tbilisi) (ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. (1971). *თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვ. I*, თბილისი.)

matiasvili, i. (2020) sameupeo emblemis istoriuli aspektebi XI s-is qartul re-  
liepshi. *ACADEMIA. N 8-9*, tbilisi) (მათიაშვილი, ი. (2020). სამეუფო ემბლემის  
ისტორიული ასპექტები XI ს-ის ქართულ რელიეფში. *ACADEMIA. № 8-9*,  
თბილისი.)

muskhelishvili. l. (1941). ukangoris istoriuli nashtebi. eklesia (IV-VI ss.) *akad. n.maris saxelobis enis, ostoriisa da materialuri kulturis institutis moambe*. X. tbilisi.).  
(მუსხელიშვილი, ლ. (1941). უკანგორის ისტორიული ნაშთები. ეკლესია (IV-VI  
სს). აკად. ნ.მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის  
ინსტიტუტის მოამბე. X. თბილისი.)

Gamakharia, J. Gogia, B. (1997). *Abkhazia – istoricheskaia oblast Gruzii*. Tbili-  
si.) (Гамахария, Дж. Гогия, Б. (1997). *Абхазия – историческая область Грузии*.  
Тбилиси.)

Chernisheva, M.I. Dubovitsky, A.B. (2016). tsarskie i solnechnie ptitsi (pavlin, fe-  
niks, petukh i orel). *Prostranstvo i vremia*. 3-4. (Чернишева, М.И. Дубовицкий, А.Б.  
(2016). Царские и солнечные птицы (павлин, феникс, петух и орел). *Пространство  
и время*. 3-4.

Temple Çiğdem. (2013). *Konya/Ikonion ve Çevresinde bulunan Bizans dōnemi taş eserleri*. Ankara.

Mimiroğlu, İlker Mete. (2023). Doğu Karadenizde Bir Bizans Karakolu Ciha  
(Cihar, Kise) Kalesi. *Selçuklu medeniyeti Araştırmaları Dergisi (SEMA)*. 8 (aralık).